სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/18

ქ. თბილისი 26 აპრილი 2023

სტუ-ის საკუთრებაში არსებული ფართების სსიპ ანტიკორუფციული ბიუროსათვის სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 25 აპრილის №05-01/1 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 26 აპრილის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, სსიპ ანტიკორუფციულ ბიუროს სამსახურებრივი საჭიროებისა და ფუნქციონირებისათვის სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, გასცეს ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №71-ში მდებარე სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-7 სასწავლო კორპუსის მე-4 და მე-5 სართულებზე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 538.21 კვ.მ. და 513.57 კვ.მ. ფართები (ს/კ: 01.10.13.040.003.01.01.526) და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი და ერთობლივი სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, I სართულზე მდებარე 42.52 კვ.მ. ფართი (ს/კ: 01.10.13.040.003.01.01.525) და ამავე შენობის სხვენი - სახურავი 538,21 კვ.მ;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**